თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – სამეანო საქმის ბაკალავრი

პროგრამის დასახელება	სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამეანო საქმის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა	240 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანი შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კომპეტენტური სამეანო საქმის ბაკალავრის მომზადებას, რომელიც შეძლებს:

- **რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით:**

ორსულის, მშობიარის და მელოგინის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობას,

ბებიაქალი საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობით, რომელიც ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება ქალსა და მის ოჯახს გადაწყვეტილების მიღებაში.

- **სამეანო საქმიანობისთვის საჭირო კლინიკური უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებას:**

  სამშობიარო ბლოკში კრიტიკული მდგომარეობების დროულ იდენტიფიკაციას და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას კომპეტენციის ფარგლებში,

  სამეანო გუნდთან ერთად მონაწილეობას ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი ახალშობილის მიღებასა და დედის ჯანმრთელობის ხარისხის შენარჩუნებაში, დედის, ნაყოფის/ახალშობილის ავადობა/სიკვდილობის მაჩვენებლების შემცირებაში,

- **ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა მათი განვითარებისთვის:**

სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება სამეანო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შესაძლებლობა ეძლევა სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში.

ბაკალავრი ბებიაქალის დასაქმების სფერო მოიცავს სამშობიარო სახლებს, ქალთა კონსულტაციებს, სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს. ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობებს აღნიშნული კომპეტენციის პირების დასაქმების მაღალ ხარისხს.

2009 წლიდან პროექტის „ბებიაქალთა ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში" ფარგლებში თსსუ-ში როტერდამის (ნიდერლანდები) ბებიაქალთა უნივერსიტეტის მხარდაჭერით

მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების კურიკულუმი. აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM), გინეკოლოგთა და მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (FIGO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და გაიდლაინები. პროგრამა შეჯერებულია საქართველოს სამედიცინო განათლებისა სისტემასა და თსსუ-ის მისიასთან. კურიკულუმი მთელი სწავლების მანძილზე ეფუძნება პრობლემაზე ორიენტირებულ მიდგომას და სრულ ჰარმონიაშია ბოლონიის პროცესთან.
ყოველივე ზემოთხსენებული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით.
ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამეანო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბიმასად.

სწავლების მეთოდები

პროგრამით გათვალსწინებული სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, რომელიც შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, მიზანს, სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას:
სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები – გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას და მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, თამაში) სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების ფორმებია:

- ინტერაქტიური ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სემინარები, კოლოქვიუმები;
- სიმულატორების და მულაჟების გამოყენება;
- კლინიკურ გარემოში სწავლება;
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა;

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების-სიტუაციების (ე.წ. ,,კეისების“ გადაჭრის გზით)
სწავლა გამოცდილებით – გამოიყენება, ძირითადად, კლინიკური სწავლების ეტაპზე. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შეძენის გზით და მის საფუძველზე. ეს არის მიზანმიმართული აქტივობის პროცესი და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- კლინიკური პრაქტიკული გამოცდილება – აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;
- შეგრძნებები – ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნებს სტუდენტი;

○ შეფასება – რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში;
○ გამოცდილების ანალიზი – რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება კარგი ან ცუდი;
○ დასკვნა – კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა ან არ გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად?
○ შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა – რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში?

ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთ ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფი დანარჩენ წევრებს
დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები. მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალსიწინებული ცოდნის და უნარების გადაცემას სტუდენტისათვის.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი
პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი, საუნივერსიტეტო ბაზები და შესაბამისი პროფილის აფილირებული კლინიკები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
სისტემის საფუძველი:

- ბოლონიის პროცესი – ევროპული კრედიტ–სატრანსფერო სისტემა (ECTS),
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“,
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები.
- თსსუ–ის სტუდენტის მიღწევების შეფასებიას შიდასაუნივერსიტეტო მარეგულირებელის აქტები (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი).

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

- შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.
- დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება:

ა) დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში (იხ., ასევე, ქვემოთ).

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების/ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 5 დღეში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (ხუთიდან):

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასება 91 ქულა და მეტი
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81- 90 ქულა
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა

შეფასების სისტემა ითვალსწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (Fx) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა = სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები = სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2014-2015 სასწავლო წლიდან სტუდენტთა ცოდნის შეფასების მიზნით გამოიყენება პორტფოლიო.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება
იცის/გაცნობიერებული აქვს:

1. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას, სამეანო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები, ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპები, პროფესიული როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ გუნდში.
2. პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, უსაფრთხოების წესები, ინფექციის კონტროლის პრინციპები და ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.
3. უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობა;
   მართვისა და ლიდერობის უნარები

უნარი
შეუძლია:

4. მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ლიდერული და ორგანიზაციული უნარების გამოვლენა, ფუნქციების ადექვატური დელეგირება,
5. ანტენატალური კვლევის წარმოება, პრობლემის დროული აღმოჩენა და მართვა, ფიზიოლოგიური მშობიარობის წარმართვა და ახალშობილის მდგომარეობის შეფასება.
6. პოსტნატალური კვლევის წარმოება, მოსალოდნელი გართულებების პრევენცია, პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი მართვა. პოსტნატალურ პერიოდში დედისა და ახალშობილისთვის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური გარემოს უზრუნველყოფა, ქალის ასისტირება ძუძუთი კვების პროცესში, ხოლო პრობლემის შემთხვევაში – სწორი რეკომენდაციების მიწოდება და შესაბამისი მოვლის უზრუნველყოფა, კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების წარმოება.
7. მშობიარის/ახალშობილის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროული იდენტიფიკაცია და მართვა, სისტემატურად და ზუსტად პროფესიული დახმარების საჭიროების შეფასება და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამეანო და გინეკოლოგიური პრობლემების შემთხვევაში, ზედამხედველობის ქვეშ, ქალისთვის კვალიფიციური დახმარების გაწევა.
8. ოჯახის დაგეგმარების მიზნით უსაფრთხო სექსისა და კონტრაცეფციის თაობაზე, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის მიწოდებ. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ–ტესტების, ადეკვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების წარმოება, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან კოორდინირებული ურთიერთობა დედათა და ბავშვთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობის მონიტორინგის და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. საგნამანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება ქალებთან, ოჯახებთან და მოზარდებთან, აქცენტით ჯანსაღ კვებაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე, იმუნიზაციაზე, მავნე ჩვევებზე, სქესობრივად გადამდები დაავადებებისა და არასასურველი ორსულობის პრევენციის საკითხებზე.
9. შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა და დაცვა. ეფექტური კომუნიკაცია ცვლად პროფესიულ გარემოში, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მიღება, დამუშავება და სხვადასხვა გზით გადაცემა, როგორც მშობლიურ ასევე უცხოურ ენაზე, ინტერპერსონალური კომუნიკაცია სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით, კვლევაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოება. საკუთარი პროფესიული დონის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

შეუძლია:

10. დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით, საკუთრი პრაქტიკის სრულყოფა და კარიერული წინსვლა დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმის გამოყენებით.
11. მაღალი პასუხისმგებლობით ცვლად პროფესიულ გარემოში საკუთარი საქმიანობის წარმართვა, კრიტიკული მიდგომა საკუთარი საქმიანობისადმი, საჭიროების შემთხვევაში ადეკვატური პროფესიული შენიშვნების, მითითებების და რეკომენდაციების გათვალისწინება, პროფესიული ღირებულებებისადმი სხვათა დამოკიდებულების დაფასება და საკუთარი დამოკიდებულების სხვებისთვის გაზიარება, სამეანო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედება.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის კომპონენტები

კვლევაზე და ფაქტებზე დამყარებული პროგრამა შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტუალურ პრიორიტეტებს და მოიცავს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, პაციენტთა განათლება
- დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მართვა
- ქცევითი მეცნიერებები
- ბიოლოგიური მეცნიერებები
- კლინიკური დისციპლინები
- სამეანო საქმე
- კვლევითი უნარ–ჩვევები
- კომუნიკაციური უნარ–ჩვევები
- პროფესიული, ეთიკური და იურიდიული ასპექტები
- ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები
- მენეჯმენტი და ლიდერობა

ფუნქციური ბლოკები:

1. საორიენტაციო კურსი
2. ბიოლოგიური მეცნიერებები
3. სამედიცინო ჰუმანიტარული მეცნიერებები კომპიუტერის ბაზისური კურსით
4. დაავადების ბიოლოგიური საფუძვლები
5. კლინიკური დისციპლინები

6. ჯანმრთელობის და ავადობის სქესობრივი ასპექტები, ფერტილობის რეგულაცია
7. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და აივ ინფექციის კონტროლი
8. პრეკონცეფცია და ანტენატალური ზრუნვა
9. მშობიარობა
10. პოსტნატალური ზრუნვა
11. შესავალი გინეკოლოგიაში
12. კლინიკური კონსოლიდაცია

სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსი	კრედიტი
I სემესტრი	**30**
საორიენტაციო კურსი	3
სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	4
სამედიცინო ქიმია	5
სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით	3
ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია	6
პროფესიული ლათინური ენა	2
აკადემიური წერა	2
ანატომია 1	5
II სემესტრი	**30**
სამედიცინო ბიოქიმია	3
ანატომია 2	5
ფიზიოლოგია 1	5
მიკრობიოლოგია	2
იმუნოლოგია	2
კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაზისო კურსი	3
ბიოეთიკა	2
უცხოური ენა 1	4
ავადმყოფის ბაზისური მოვლის უნარ-ჩვევები	2
კლინიკური უნარ-ჩვევები 1	2

III სემესტრი	**30**
პათოლოგიური ანატომია	2
პათოლოგიური ფიზიოლოგია	2
ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3
ფსიქოლოგიის საფუძვლები	2
სოციოლოგიის საფუძვლები	2
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	2
ჰიგიენის საფუძვლები	3
ფიზიოლოგია 2	4
უცხოური ენა 2	3
სამეცნიერო კვლევა	2
შესავალი კურსი მეანობაში	2
არჩევითი	3
პრეკლინიკური ეტაპი	
IV სემესტრი	**30**
შინაგანი მედიცინა	5
ზოგადი ქირურგია	5
ნევროლოგიის ზოგადი კურსი	3
დერმატოლოგია	2
ინფექციური დაავადებების ზოგადი კურსი	3
პედიატრიის ზოგადი კურსი	4
გადაუდებელი მედიცინის პრინციპები	3
მეანობა 1	2
არჩევითი	3
V სემესტრი	**30**
რეპროდუქტოლოგია	3
ეპიდემიოლოგია	2
სოციოლოგია	2
ფსიქოსექსოლოგია	2
ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი 1	2
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების კონტროლი	2
აივ ინფექციის კონტროლი	4
კლინიკური ფარმაკოლოგია 1	4
პრაქტიკული უნარ-ჩვევები 1	3
მეანობა 2	3
არჩევითი	3

VI სემესტრი	**30**
მეანობა 3	7
ნეონატოლოგია 1	5
კვების ჰიგიენა	3
ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი 2	2
კლინიკური ფარმაკოლოგია 2	3
პრაქტიკული უნარ-ჩვევები 2	7
არჩევითი	3
VII სემესტრი	**30**
მეანობა 4	8
ნეონატოლოგია 2	5
კლინიკური ფარმაკოლოგია 3	3
შესავალი გინეკოლოგიაში	5
პრაქტიკული უნარ-ჩვევები 3	6
არჩევითი	3
პრეკონსოლიდაციური ბარიერი	
VIII სემესტრი	**30**
კონსოლიდაციური კლინიკური პრაქტიკა	20
კლინიკური უნარ-ჩვევები 2	7
არჩევითი	3
სულ	**240**